# თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# სილაბუსი
## 2011-2012 სასწავლო წელი

**ფაკულტეტი:** პედაგოგიური
**კათედრა:** პედაგოგიკა-მეთოდიკებისა და ფსიქოლოგიის გაერთიანებული
**სასწავლო კურსის დასახელება:** განათლების თანამედროვე თეორიები

**სასწავლო კურსის კოდი:** P.2.P.12
**კრედიტების რაოდენობა ECTS** 5 კრედიტი
**სასწავლო კურსი სტატუსი:** სავალდებულო-არჩევითი მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

**ლექტორი:** ასოც. პროფ: მოდებაძე ნინო, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
ტელ: 855 452794 e-mail: ninomodebadze@ rambler.ru
სტუდენტებთან შეხვედრების განრიგი: სამშაბათი, პარასკევი 14-16 სთ

**სასწავლო კურსის აღწერა:** სასწავლო კურსი ერთსემესტრიანია და სტუდენტის მიერ მოსაპოვებელი კრედიტისათვის დახარჯული დრო ასე ნაწილდება: სულ125 სთ. აქედან, 30 საკონტაქტო საათია, რაც ნიშნავს სტუდენტთან კვირაში 2 საკონტაქტო საათს. თავის მხრივ 15 სთ სალექციოა, 15სთ – ჯგუფში მუშაობის, . დარჩენილი 95 სთ სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი მუშაობის წილია. სასწავლო კურსში განიხილება პედაგოგიკაში საუკუნეების მანძილზე აღმოცენებული და ტრანსფორმირებული განათლების თეორიების გვერდით მსოფლიოში არსებული განათლების თანამედროვე თეორიები. მათგან ზოგი განვითარებულია ძველი თეორიების ბაზაზე, ზოგიც –შექმნილი პიროვნების სოციალურ გარემოში ადაპტციისას ახალი ხედვებისა და მიდგომების შესაბამისად.
აქედან გამომდინარე,

**სასწავლო კურსის მიზანი და ამოცანებია:** სტუდენტი:

- სიღრმისეულად დაეუფლოს განათლების იმ ძირითად თეორიებს, აღმოცენებულს და გავითარებულს საუკუნეების მანძილზე, რომლებმაც თავის მხრივ იქონიეს გავლენა პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე;
- დაეუფლოს ძველი თეორიების ანალიზის ფონზე მსაფლიოში მომუშავე განათლების თანამედროვე თეორიების შესახებ ცოდნას;
- გააანალიზოს განათლების თანამედროვე თეორიები საქართველოში მდგომი რეფორმების მიმდინარეობისა და ამ მხრივ ჩვენი სარეფორმო პრაქტიკის პრობლემათა გადაწყვეტის ასპექტებით.

სალექციო კურსზე
დაშვების წინაპირობა: არა აქვს

სალექციო კურსის შედეგი :

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | აქვთ ცოდნა განათლების თანამედროვე თეორიების შესახებ | სტუდენტი ფლობს საფუძვლიან ცოდნას მსოფლიოში აპრობირებული განათლების თანამედროვე თეორიებისა (სასკოლო განათლების დემოკრატიზმი, სწავლების დიფერენციაცია, სხვა) და მოწინავე ქვეყნების (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, დანია და სხვა) საგანმანათლებლო სისტემების შესახებ; |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | შეუძლია მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის გამოცდილების ღრმა, შედა-რებითი ანალიზი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემასთან; აანალიზებს განათლების თანამედროვე თეორიებს საქართვე-ლოში მიმდინარე განათლების რეფორმების მიმდინარეო-ბისა და ამ მხრივ ჩვენი სარეფორმო პრაქტიკის პრობლემათა გადაწყვეტის ასპექტებით. შეუძლიათ მოვლენების არსის განსაზღვრა და მიზეზ-შედე-გობრივი კავშირების წარმოჩენა |
| დასკვნის უნარი | აქვს საგანმანათლებლო კონცეფციის, თეორიისა და პოლიტიკის საკითხებზე არგუმენტირებული წინადადების შემუშავების უნარი;<br>აქვს განათლების სისტემის სტრუქტურასა და მიზნებთან დაკავშირებით არგუმენტირებული მოსაზრების შემოთავაზების უნარი. | წარმატებით ახდენს ახალი და ძველი განათლების თეორიების საკითხებზე არგუმენტირებულ შედარებით ანალიზსა და დასკვნებს. მათ საფუძველზე შეიმუშავეს ახალ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს. |
| კომუნიკაციის უნარი | ექნებათ კომუნიკაციის უნარი | შეეძლებათ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ეფექტურად მუშაობენ ინდივიდუალურად და ჯგუფში. |
| სწავლის უნარი | მუდმივად იქნებიან ახლის ძიებაში | შეეძლებათ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ინტერნეტში საჭირო მასალების მოძიება და დამუშავება, შესაბამისი თვალსაჩინოებით პრეზენტაციის მომზადება. ეფექტურად კითხულობენ და ამუშავებენ ლიტერატურას. |
| ღირებულებები | აქვს საგანმანათლებლო | ადექვატურად აფასებს განათლების თეორიების შემქმნელთა ფასეულო- |

| | | |
|---|---|---|
| | საქმიანობაში არსებული ღირებულებების კრიტიკული გააზრების და ამ ღირებულებათა განვითარების უნარი. | ბებსა და ღირებულებებს და წარმატებით ახდენს მათ ადაპტაციას ახალ საგანამანთლებლო გარემოში |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

**სავალდებულო *ლიტერატურა:***

1) ცუცქირიძე, ზ., და ორჯონიკიძე, ნ. (2005). *განათლების თანამედროვე თეორიები(უცხოეთის ქვეყნების განათლების სისტემების განვითარების ძირითადი ტენდენციები.* თბილისი: იაკობ გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის ინსტიტუტი.
2) (1994). *პედაგოგიკა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3) ასათიანი, ა. (2008). *უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა*. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
4) ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., და გორგოძე ს. (2008). *განვითარებისა და სწავლის თეორიები.* დამხმარე სახელმძღვანელო; თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე"მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი,

**სტუდენტთა შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**
**შეფასების კრიტერიუმები:**
შეფასების 100% გადანაწილდება შემდეგი სახით:

<u>შუალედური შეფასება</u> – მაქსიმალური 60%

მათ შორის: *2 წერითი სამუშაო* – 30% (15% x 2).
პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.
*4 ჯგუფური მეცადინეობა* – 20% (5% x 4).
ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში სემინარებზე მონაწილეობით.
*1 ზეპირი პრეზენტაცია* – 10%,
რომელზედაც სტუდენტს საშუალება ეძლევა

ზეპირსიტყვიერად წარმოაჩინოს თავისი პროფესიული ცოდნა და უნარები ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას. პრეზენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა თვითოეული სტუდენტისათვის და ჩატარების განრიგი თემატიკის გათვალისწინებით და სტუდენტთან შეთანხმებით გაწერილ იქნება სემესტრის დასაწყისში დაახლოვებით მეორე, მესამე ლექციის შემდეგ. რეზენტაციის შეფასება მოხდება ცხრილში მოცემული შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

| პრეზენტაციის შეფასების პარამეტრები | მაქსიმალური ქულა |
|---|---|
| შინაარსის ლოგიკურობა | 3 ქულა |

| | |
|---|---|
| თემის გასაგებად წარმოდგება | 3 ქულა |
| თემის სრულად წარმოდგენა | 2 ქულა |
| ვიზუალური საშუალებების გამოყენება | 2 ქულა |
| სულ: | 10 ქულა |

- შეგახსენებთ, რომ ფინალურ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელმაც შუალედურ შეფასებაზე მოაგროვა მინიმუმ 11 ქულა და ამით ფინალური გამოცდისათვის დაწესებულ ქულათა მაქსისუმის მიღების შემთხვევაში მიეცა შანსი დააგროვოს კრედიტის მინიჭებისათვის აუცილებელი მინიმალური 51 ქულა, ე.ი. (11ქ + 40ქ =51ქ).
- გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, რომლის ხანგრძლივობა 2 აკადემიური საათია. საგამოცდო დავალება მოიცავს 10 საკითხს აქედან და თვითეული საკითხი ფასდება მაქსიმალური 4 ქულით.
- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა სემესტრის მანძილზე შუალედური შეფასებებით დააგროვა კრედიტის მინიჭებისათვის საჭირო ქულათა რაოდენობის მინიმუმი (51 ქულა), იგი თავისუფლდება ფინალურ გამოცდაზე გასვლის ვალდებულებისაგან, თუმცა სტუდენტს შეუძლია გავიდეს საბოლოო გამოცდაზე და შუალედურ შეფასებას დაამატოს გამოცდის ქულა.

## სასწავლო კურსის სტრუქტურა:

### ლექცია №1

პედაგოგიკის მეცნიერება და ფოლოსოფია; განათლების თეორიები; თანამედროვე პედაგოგიკის ძირითადი ფილოსოფიური ცნებები.
ლიტერატურა: 2. გვ 263 –270

### ლექცია №2

განათლების თეორიები და მეთოდოლოგიური პრინციპები.
ლიტერატურა: 3. გვ: 60–66

### ლექცია №3

განათლების თეორიები XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნეში.
ლიტერატურა: 2. გვ :270–289

### ლექცია №4

სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში; უცხოური თეორიები განათლების გზების შესახებ; პროგრამების ცვლილებათა შესახებ.
ლიტერატურა: 1. გვ: 6-34

### ლექცია №5

განათლებისა და სწავლების დიფერენციაცია.

ლიტერატურა: 1. 36–44

## ლექცია №6

პერსპექტიული სასკოლო ტექნოლოგიები; ახსნით-ილუსტრაციული ტექნოლოგიის გამოყენების ნეგატიური შედეგები.
ლიტერატურა: 1. გვ. 45–66

## ლექცია №7

მიმართულებანი სწავლების ახალი ტექნოლოგიებისაკენ; პიროვნულად ორიენტირებული სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება.
ლიტერატურა: 1. 66–78

## ლექცია №8

სასკოლო აღზრდა (სოციოლოგიზატორული და ბიოფსიქოლოგიზატორული პოზიციები); (ბიო) ფსიქოლოგიური პარადიგმა.
ლიტერატურა: 1. გვ 79–86

## ლექცია №9

პრიორიტეტები და პრობლემები; იდეალების კრიზისი;
ლიტერატურა: 1. გვ. 86–94

## ლექცია №10

აღმზრდელობითი მიმართულებანი მუშაობის შინაარსი და მსოფლიო სასკოლო პრაქტიკაში.
ლიტერატურა: 1. გვ. 94 – 104

## ლექცია №11

კოგნიტური განვითარების თეორია; სოციალური განვითარება; სოციო-კულტურული თეორია.
ლიტერატურა: 4. გვ. 14 – 20; 34 – 54; 55 - 63

## ლექცია №12

განწყობის თეორია; სოციალური დასწავლის თეორია; კონსტრუქტივიზმი.
ლიტერატურა: 4. გვ. 64 – 70; 91 – 106; 107 - 118

## ლექცია №13

მრავალმხრივი ინტელექტის თეორია; ფსიქო-სოციალური განვითარების თეორია; ჰუმანისტური თეორია.
ლიტერატურა: 4. გვ. 134 – 143; 144 – 149; 169 - 180

## ლექცია №14

მორალური განვითარების თეორია; პროგრესული განათლების პრონციპები და დიუის სკოლა-ლაბორატორია; მონტესორის სწავლების მეთოდი.

ლიტერატურა:  4. გვ. 181 – 192; 193 -199; 207 - 212

**ლექცია №15**

განათლების ხარისხი და მართვის ტექნოლოგია.
ძირითადი ლიტერატურა: 1. გვ. 104–112, 3. გვ. 296-311.

**წარმატებას გისურვებთ!**